

**ორთოპედია/ტრავმატოლოგია
(44 თვე)**

I. ზოგადი დებულებები

1. შესავალი

ორთოპედია-ტრავმატოლოგია – განეკუთვნება მედიცინის დარგს, რომელიც მოიცავს საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაავადებებსა და მექანიკურ დაზიანებებს, მათ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას. ამასთან აღნიშნული სპეციალობა გულისხმობს, როგორც პროფილაქტიკურ ისე მკურნალობის შემდგომ სარეაბილიტაციო ღონისძიებებს.

ნოზოლოგიები მოიცავს როგორც მწვავე ტრავმულ პათოლოგიებს, ისე ქრონიკულ დაავადებებს, მათ დიაგნოსტიკას, ანამნეზური, ფიზიკალური, ინსტრუმენტალური (ენდოსკოპიური) და ლაბორატორიული მონაცემების ანალიზს შემდგომი კონსერვატიული (მედიკამენტოზური, ფიზიოთერაპიული) თუ ოპერაციული მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრას.

2. სასწავლო პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადება სპეციალობით – ორთოპედია-ტრავმატოლოგია. დასახული მიზნის მისაღწევად აუცილებელია ხდებოდეს თეორიული ცოდნის ათვისება, ამასთან სხვადასხვა სპეციალური კომპეტენციების დაუფლება. შესაბამისად რეზიდენტურის კურსის საბოლოო მიზანია კომპეტენტური სპეციალისტის მომზადება. შესაბამისად:

- დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების/ სარეზიდენტო პროგრამა ორთოპედია-ტრავმატოლოგიაში დაფუძნებულია ექიმთა დიპლომის შემდგომი პროფესიული მზადების სისტემის კონცეფციაზე და მასში გათვალისწინებულია აშშ-ს და ევროპის რიგი ქვეყნების გამოცდილება ამ სფეროში. სამედიცინო განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმიდან გამომდინარე ექიმ – ორთოპედ-ტრავმატოლოგთა მზადება და მათი პროფესიონალებად ჩამოყალიბება უნდა შეესაბამებოდეს დარგის განვითარების თანამედროვე მოთხოვნებს.
- დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების/ სარეზიდენტო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს ორთოპედ-ტრავმატოლოგის სრულფასოვანი თეორიულ მომზადებასა და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობისათვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისებას სასწავლო კურსის მუდმივი დახვეწითა და განახლებით.
- ორთოპედია-ტრავმატოლოგიის სარეზიდენტო პროგრამა აგებულია მოდულების პრინციპზე და გულისხმობს რეზიდენტის მიერ “ორთოპედია-ტრავმატოლოგიის” ყველა სავალდებულო მოდულის გავლას, რომლებშიც მოცემულია მზადების მიზანი, ასათვისებელი საკითხებისა და უნარ-ჩვევების ჩამონათვალი, მზადების ფორმები, მეთოდები, ხანგრძლივობა და შეფასების კრიტერიუმები.
- ორთოპედია-ტრავმატოლოგიის სარეზიდენტო პროგრამის განმხორციელებელი სამედიცინო დაწესებულებების სტაციონარულ და ამბულატორიულ

განყოფილებებში ავადმყოფების რაოდენობა და დაავადებების სპექტრი უნდა იძლეოდეს ამ სპეციალობით ღრმა კლინიკური გამოცდილების მიღების საშუალებას. გარდა ამისა, ორთოპედია-ტრავმატოლოგიის რეზიდენტურის პროგრამის ჩატარებისთვის დაწესებულებას უნდა გააჩნდეს პედაგოგიური პროცესისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური პოტენციალი (აუდიტორია, სასწავლო ოთახები, ვიზუალური და დამხმარე სასწავლო მასალები და სხვ).

პროგრამის წარმატებული განხორციელების აუცილებელი პირობაა გუნდური მუშაობა. რეზიდენტურის პროგრამაში მონაწილე თითოეული დაწესებულების თანამშრომელთა რიცხვიდან პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შეირჩევა რეზიდენტების მზადების მოდულზე პასუხისმგებელი პირები.

მოდულზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციაა კონკრეტულ კლინიკურ ბაზაზე რეზიდენტის მზადების პროცესის წარმართვა და კონტროლი მზადების პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად. იგი ანგარიშვალდებულია რეზიდენტურის პროგრამის ხელმძღვანელის წინაშე.

3. სპეციალობის აღწერილობა

დეფინიცია

ორთოპედია-ტრავმატოლოგია ეს არის დისციპლინა, რომელიც ეფუძნება საბაზისო ცოდნას (ანატომია, ფიზიოლოგია, ბიომექანიკა, იმუნოლოგია, ჭრილობის მართვა, შოკი და რეანიმაცია, ონკოლოგია) და შეიცავს ყველა მოსაზღვრე ქირურგიული სპეციალობის ელემენტებს. იგი მჭიდრო კავშირშია მონათესავე ქირურგიულ და სხვა დისციპლინებთან, როგორცაა – ანესთეზოლოგია, ინტენსიური თერაპია, რადიოლოგია, რევმატოლოგია, ნევროლოგია, გერიატრია და სხვა. ორთოპედ-ტრავმატოლოგს უნდა გააჩნდეს სპეციალიზებული ცოდნა და გამოცდილება, რომელიც უკავშირდება თანდაყოლილი და შექმნილი პათოლოგიების დიაგნოსტიკას, პრევენციასა და მკურნალობის პრინციპების განსაზღვრასა და მართვას.

აღნიშნული დეფინიციიდან გამომდინარე, ორთოპედია-ტრავმატოლოგია მოიცავს სპეციალიზებულ ცოდნას და უნარ-ჩვევებს, საყრდენ მამოძრავებელი სისტემის იმ თანდაყოლილი და შექმნილი დაავადებებისა თუ დაზიანებების დიაგნოსტიკას, პროფილაქტიკასა და მკურნალობას, რომლებიც განაპირობებს ცხოვრების ხარისხის გაუარესებას ინვალიდიზაციას, ან ლეტალურ გამოსავალს.

ორთოპედ-ტრავმატოლოგს – ისევე როგორც ყველა სხვა ქირურგიული დისციპლინის ექიმს მოეთხოვება თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ ჩვევების ფლობა ისეთ ფუნდამენტალურ დისციპლინებსა და პათოლოგიურ მდგომარეობებში, როგორცაა: ანატომია, რენტგენოანატომია, პერიფერიული სისხლის მიმოქცევის სისტემა, პერიფერიული ნერვული სისტემა, ანთროპომეტრია და საყრდენ მამოძრავებელი სისტემის თანდაყოლილი პათოლოგიები, კრიტიკული მდგომარეობები, ტრავმა, პოლიტრავმა, სპორტული ტრავმა, ძვალ-სახსროვანი სისტემის სიმსივნური და მეტასტაზური დაზიანებები და სხვა.

თეორიული ცოდნა

ორთოპედ-ტრავმატოლოგს მოეთხოვება:

- საყრდენ მამოძრავებელი სისტემის ანატომიის ცოდნა
- პერიფერიული ნერვული სისტემის ანატომიის ცოდნა
- სისხლძარღვოვანი სისტემის ანატომიის ცოდნა
- საყრდენ მამოძრავებელი სისტემის ფიზიოლოგიის და ბიომექანიკის ცოდნა

- ანტიბიოტიკების, ანტიკოაგულანტების, ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული პრეპარატების, სტეროიდების, ლოკალური ანალგეტიკების, ცნს სისტემის დეპრესანტების და ვენოტონიკების ჯგუფის პრეპარატების ფარმაკოდინამიკის და ფარმაკოკინეტიკის ცოდნა.
- შემდეგი დაავადებების ეპიდემიოლოგიის, ეტიოლოგიის, პათოგენეზის, კლინიკის, მათი მტკიცებით მედიცინაზე დაფუძნებული მკურნალობისა და გამოსავალის ცოდნა:
 1. ართროპათიები
 2. შემაერთებული ქსოვილის სისტემური დაავადებები
 3. დორსოპათიები
 4. რბილი ქსოვილის ავადმყოფობები
 5. ოსტეოპათიები და ქონდროპათიები
 6. საყრდენ მამოძრავებელი სისტემის გენეტიკური დაავადებები
 7. საყრდენ მამოძრავებელი სისტემის სიმსივნეები
 8. საყრდენ მამოძრავებელი სისტემის მეტაბოლური და ენდოკრინული დაავადებები
 9. ნერვ-კუნთოვანი დაზიანებები
 10. პერიფერიული ნერვების დაზიანებები
 11. საყრდენ მამოძრავებელი სისტემის ინფექციები
 12. ჰემატოლოგიური დაავადებები (სიმსივნეები)
- მოტეხილობების საერთაშორისო კლასიფიკაციების თეორიული ცოდნა
- საყრდენ მამოძრავებელი სისტემის რადიოლოგიის ცოდნა (რენტგენი, კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტორეზონანსული კვლევა, დენსიტომეტრია, პლანტოგრაფია , ძვალსახსროვანი სისტემის სინტიგრაფია, ძვალსახსროვანი სისტემის ულტრაბგერითი კვლევა)

კლინიკური უნარ-ჩვევები

1. პაციენტისგან დაავადების ისტორიის შეკრება
2. ფიზიკური გამოკვლევის ჩატარება
3. შესაბამისი რადიოლოგიური და ლაბორატორიული კვლევების დანიშვნა
4. საბოლოო ზუსტი დიაგნოზის ფორმულირება
5. დიფერენციალური დიაგნოზების ფორმულირება
6. პათოლოგიის არაოპერაციული მკურნალობის პროგნოზის განსაზღვრა
7. პათოლოგიის ოპერაციული მკურნალობის პროგნოზის განსაზღვრა
8. პათოლოგიის ოპერაციული და არაოპერაციული მკურნალობის მოსალოდნელი გართულებების ჩამოყალიბება
9. პათოლოგიის ოპერაციული და არაოპერაციული მკურნალობის შემდგომი რეაბილიტაციის სქემის ჩამოყალიბება
10. ჭრილობის პირველადი და მეორადი ქირურგიული დამუშავება
11. მოტეხილობის რეპოზიცია (დახურული წესით)
12. ჩონჩხოვანი დაჭიმვა (ყველა სეგმენტი)
13. მოტეხილობების გარეგანი ფიქსაცია
14. თაბაშირის დადება
15. ორთეზების დადება
16. ფასციოტომია
17. ოსტეოსინთეზი ყველა სეგმენტის (ფირფიტებით DCP, LCP, Polyaxial ,Anatomical, DHS, ინტრამედულარი – მახლოკირებელი სისტემებით,

ელატიური ღეროებით, ოსტეოსინთეზი ვებერის ტიპის, სახსრების ჩაკეტვა, საკორექციო ოსტეოტომია: ფიქსაციით , ძვლის გადანერგვით ან მის გარეშე, კომპრესიული-დისტრაქციული აპარატის დადება, ხერხემლის მალეების ტრანსპედიკულური ფიქსაცია, სახსარშიდა მოტეხილობების ოსტეოსინთეზი ართროსკოპიული კონტროლით)

18. ხერხემლის მალეების ტრანსპედიკულური ფიქსაცია
19. ხერხემლის მალეების ბალონირება
20. ხერხემლის მალეების პროთეზირება
21. მსხვილი და მცირე სახსრების ართროსკოპია
22. სახსრების იოგოვანი აპარატის რეკონსტრუქცია ართროსკოპიული/ღია
23. მყესების რეკონსტრუქცია ღია (მაგ. ქილევის მყესი და ს.ხ.ე)
24. სახსარშიდა ინექციები
25. სახსრების ლავაჟი
26. დაზიანებული კუნთებია რეკონსტრუქცია
27. კანის პლასტიკა (დერმატომით)
28. მსხვილი და მცირე სახსრების ართროპლასტიკა (უცემენტო, ცემენტის გამოყენებით , ჰიბრიდული)
29. სქოლიოზის კორექცია (უკანა/ წინა მიდგომით)
30. სასახსრე ხრტილის რეკონსტრუქცია (მოზაიკოპლასტიკა)
31. აუტოდვლის აღების ტექნიკა
32. ძვლების დეფექტების რეკონსტრუქცია, ძვლის ჩანაცვლებით (ჰომო, აუტო ძვალი)
33. ნავიგაციის გამოყენება ორთოპედიაში
34. სარევიზიო ენდოპროთეზირება ყველა სეგმენტის
35. შეუხორცებელი მოტეხილობების მკურნალობა, მართვა
36. ოსტეომიელიტის მკურნალობა
37. პოსტოპერაციული ინფექციების მართვა
38. ძვლისა და რბილის ქსოვილების პათოლოგიური კერის ბიოფსია
39. ძვლისა და რბილის ქსოვილების პათოლოგიური კერის ინტერკალარული რეზექცია, ჩანაცვლება პროთეზით
40. ძვლისა და რბილის ქსოვილების პათოლოგიური კერის რეზექცია
41. ონკოპროთეზირება
42. ძვლისა და რბილის ქსოვილების ავთვისებიანი სიმსივნეების რეზექცია ჯანსაღი ქსოვილების ფარგლებში
43. კიდურების ამპუტაციები ყველა დონეზე
44. ამპუტირებული ტაკვის მომზადება პროთეზებისთვის
45. გარეგანი პროთეზების შერჩევა, მართვა

4. სარეზიდენტო პროგრამის შინაარსი

რეზიდენტურის პროგრამა მოიცავს სწავლების 4 წელს (44 თვეს). ამ პერიოდში განაწილებულია ის აუცილებელი მოდულები, რომლებიც აუცილებელია ტრავმატოლოგია-ორთოპედიის სპეციალობის დასაუფლებლად.

რეზიდენტურის პირველი წლის პროგრამა მოიცავს როტაციებს ორთოპედია-ტრავმატოლოგიასთან მომიჯნავე სხვადასხვა დარგებში, რათა რეზიდენტმა შეიძინოს გარკვეული უნარ-ჩვევები, რაც უზრუნველყოფს მის მიერ პათოლოგიების სწორ დიფერენციარულ დიაგნოსტიკასა და მკურნალობის მართებულ მენეჯმენტს.

რეზიდენტურის მეორე წელს რეზიდენტი გადის როტაციებს ტრავმის დისციპლინებში. იგი ეცნობა ამბულატორიულ საქმიანობას და ექიმის დახმარებით იძენს პაციენტთან ურთიერთობის საჭირო უნარ-ჩვევებს. სწავლობს ორთოპედიული

ტრავმის და პოლიტრავმის მქონე პაციენტების სწორ შეფასებას და შემდგომი მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრას. რეზიდენტი სწავლობს ყველა ტიპის ოსტეოსინთეზის მეთოდს (შენიშვნა: თუ რეზიდენტი მეტად დაინტერესებულია ბავშვთა ტრავმით მას შეიძლება გაუხანგრძლივდეს ეს დისციპლინა, ამავე წელს არსებული დისციპლინების ხარჯზე).

მესამე წელს რეზიდენტი გადის როტაციებს ორთოპედიულ დისციპლინებში. რეზიდენტი სწავლობს კიდურების ყველა სეგმენტს მტევანისა და ტერფის ჩათვლით, ასევე ხერხემლის სვეტის შეძენილი და თანდაყოლილი დეფორმაციების მკურნალობას, რეკონსტრუქციულ ოპერაციებს, მსხვილი სახსრების ენდოპროთეზირებას. მესამე წელს რეზიდენტი აქტიურად არის ჩართული ამბულატორიულ მუშაობაში.

მეოთხე წელს რეზიდენტი უნდა ავლენდეს სრულყოფილ ცოდნას წინა წლებში მიღებული მოდულების ფარგლებში. მეოთხე წლის რეზიდენტი ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა იმ სამეცნიერო კვლევაში, რომელიც ტარდება იმ ბაზაზე, რომელშიც გადის რეზიდენტურას მეოთხე წელს.

მოღუპების ჩამონათვალი:

პროგრამის ზოგადი ნაწილი		
პროფესიული მზადების I წელი		
მოდ.№	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
1.1.	პოსტტრავმული რეანიმაცია/ინტენსიური თერაპია /ტკივილის მართვა	1 თვე
1.2	ნეიროტრავმატოლოგია	1 თვე
1.3.	ზოგადი ქირურგია (მწვავე/ტრავმა)	2 თვე
1.4.	სისხლძარღვთა ქირურგია	1 თვე
1.5.	დამწვრობა, კანის პლასტიკა	1 თვე
1.6	რადიოლოგია	1 თვე
1.7.	ორთოპედიული ტრავმა	4 თვე
პროგრამის სპეციფიური ნაწილი		
პროფესიული მზადების II წელი		
მოდ.№	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
2.1.	ორთოპედიული ტრავმა	5 თვე
2.2.	მტევნის და ტერფის ტრავმა	2 თვე
2.3.	ხერხემლის სვეტის და მენჯის ძვლების ტრავმა	1 თვე
2.4.	ბავშვთა ტრავმა	1 თვე
2.5.	სპორტული ტრავმა	2 თვე
პროფესიული მზადების III წელი		
მოდ.№	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
3.1.	მოზრდილთა ორთოპედია	5 თვე
3.2.	მსხვილი სახსრების ენდოპროთეზირება	2 თვე
3.3.	გულმკერდის და ხერხემლის სვეტის ორთოპედია	2 თვე
3.4.	ბავშვთა ორთოპედია	2 თვე
პროფესიული მზადების IV წელი		
მოდ.№	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
4.1.	მოზრდილთა ორთოპედია	3 თვე
4.2.	მსხვილი სახსრების ენდოპროთეზირება	2 თვე
4.3.	ონკო-ორთოპედია, პროთეზირება	3 თვე
4.4.	ართროსკოპიული ქირურგია	3 თვე

5. საგანმანათლებლო რესურსები

პედაგოგები

სასწავლო კურსს ხელმძღვანელობს პედაგოგიურ და კლინიკურ სფეროში გამოცდილი ორთოპედ-ტრავმატოლოგი - პროგრამის ხელმძღვანელი. სასურველია მას ჰქონდეს სამეცნიერო მუშაობის გამოცდილება. იგი ეცნობა ყველა რეზიდენტს კურსის დაწყებისას, მეთვალყურეობს პროგრამას და აფასებს რეზიდენტთა სწავლებას ყოველწლიურად.

მოდულის განმავლობაში თითოეული რეზიდენტის საქმიანობას მეთვალყურეობს პედაგოგი – მოდულზე პასუხისმგებელი პირი და თავად რეზიდენტი. რეზიდენტი აწარმოებს დღიურს, რომელშიც ასახულია ყველა მისი აქტივობა.

მოდულის წარმატებით დასრულება დასტურდება პედაგოგის - მოდულზე პასუხისმგებელი პირის მიერ რეზიდენტის დღიურში სათანადო ჩანაწერით.

პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობები:

1. რეზიდენტთა/საექიმო სპეციალობის მაძიებელთა რეზიდენტურაში მისაღები პროგრამის განსაზღვრაში მონაწილეობა აკრედიტებულ დაწესებულებაში/სასწავლებელში დადგენილი წესის მიხედვით კანონის შესაბამისად.
2. დიპლომის შემდგომი პროფესიული მზადების (რეზიდენტურის) აკრედიტირებული პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა, პროგრამის მიმდინარეობაზე კონტროლი.
3. რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის ყოველწლიური ინდივიდუალური გეგმა-გრაფიკის განსაზღვრა მოდულზე პასუხისმგებელი პირისა და სამედიცინო დაწესებულების მითითებით.
4. მოდულზე პასუხისმგებელი პირის საქმიანობის ზედამხედველობა და შეფასება.
5. რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობისა და ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობაზე კონტროლი.
6. მოდულზე პასუხისმგებელი პირის/პირების მონაწილეობით დადგენილი წესის მიხედვით რეზიდენტის ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული საქმიანობის ეტაპობრივი და საბოლოო შეფასება.
7. რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის საქმიანობის არადაამაკმაყოფილებელი ეტაპობრივი და/ან საბოლოო შეფასებისას, დასაბუთებული მოხსენებით ბარათის წარდგენა აკრედიტებული დაწესებულების/სასწავლებლის ადმინისტრაციაში რეზიდენტის გარიცხვის შესახებ.
8. რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის პროგრამის ეტაპობრივი/საბოლოო უარყოფითი შეფასებისას პროგრამის ხელმძღვანელი/დირექტორი რეზიდენტთან/მაძიებელთან შეთანხმებით განსაზღვრავს მოდულის/მოდულების ნუსხას, რომლებიც მან უნდა გაიაროს განმეორებით.
9. რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის მიერ საზღვარგარეთ გავლილი პროგრამის (მოდულების) შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ ჩათვლა/არჩათვლის თაობაზე დასკვნის გაცემა.

მოდულზე პასუხისმგებელი პირის ანუ ლოკალური ხელმძღვანელის

მოვალეობები:

1. სამედიცინო დაწესებულებაში რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის პრაქტიკული საქმიანობის უზრუნველყოფა კურიკულუმის (სასწავლო გეგმის) შესაბამისად: კვალიფიციური კონსულტაციებით, სასწავლო მასალებით (სასწავლო/სამეცნიერო ლიტერატურა, სხვა პროგრამული საკითხები). სამედიცინო დაწესებულებაში პროგრამის მიმდინარეობის შეუფერხებელი წარმართვა.

2. პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად რეზიდენტების/სპეციალობის მაძიებლების ეტაპობრივ და საბოლოო შეფასებაში მონაწილეობა.
3. რეზიდენტთან/სპეციალობის მაძიებელთან თეორიული და პრაქტიკული მუშაობისათვის საქმიანობის განსაზღვრული დროის დათმობა.
4. თითოეული მოდულის დასრულების შემდეგ დადგენილი წესის მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელისთვის რეზიდენტის მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ ანგარიშის წარდგენა.
5. რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის დღიურში რეზიდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს ხელმოწერით დადასტურება.
6. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელთან/დირექტორთან პროგრამის მიმდინარეობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე კონსულტირება.

რეზიდენტის უფლება/მოვალეობანი:

1. რეზიდენტს/სპეციალობის მაძიებელს უფლება აქვს პროგრამის დაუბრკოლებელი დაძლევისათვის მოითხოვოს შესაბამისი სამუშაო პირობებით უზრუნველყოფა (კვალიფიციური ხელმძღვანელი, საინფორმაციო/საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, სამუშაო ოთახი);
2. რეზიდენტს/სპეციალობის მაძიებელს უფლება აქვს პროგრამის კურიკულუმის დარღვევის ან შეფერხების შესახებ წერილობით აცნობოს სამედიცინო დაწესებულების/სასწავლებლის ხელმძღვანელობას;
3. რეზიდენტს/სპეციალობის მაძიებელს უფლება აქვს განაგრძოს პროფესიული მზადება საზღვარგარეთ ან გადავიდეს სხვა აკრედიტებულ დაწესებულება/სასწავლებელში;
4. რეზიდენტი/სპეციალობის მაძიებელი ვალდებულია შეასრულოს რეზიდენტურის პროგრამით განსაზღვრული კურიკულუმი;
5. რეზიდენტი/სპეციალობის მაძიებელი ვალდებულია პროგრამით განსაზღვრული და შესრულებული საქმიანობა დააფიქსიროს პერსონალურ დღიურში;
6. რეზიდენტი/სპეციალობის მაძიებელი ვალდებულია დაიცვას სამედიცინო დაწესებულების/სასწავლებლის შინაგანაწესი და შეასრულოს დაწესებულების/სასწავლებლის განრიგით განსაზღვრული საქმიანობა;
7. რეზიდენტი/სპეციალობის მაძიებელი შეიძლება გარიცხულ იქნას ერთი თვის განმავლობაში გამოუცხადებლობის ან პროგრამის ვერ დაძლევის შემთხვევაში. გადაწყვეტილებას რეზიდენტის გარიცხვის შესახებ იღებს პროგრამის ხელმძღვანელი/დირექტორი აკრედიტებულ სასწავლო დაწესებულებაში შესაბამისი მოხსენებითი ბარათის წარდგენით;
8. რეზიდენტი/სპეციალობის მაძიებელი ვალდებულია გაიაროს ეტაპობრივი და საბოლოო შეფასება. ეტაპობრივი და საბოლოო შეფასება ტარდება – აკრედიტებულ დაწესებულებაში/სასწავლებელში დადგენილი წესის მიხედვით.
9. პროგრამით გათვალისწინებული მოდულების წარმატებით დასრულების შემდეგ რეზიდენტს/სპეციალობის მაძიებელს სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდაზე დასაშვებად ეძლევა აკრედიტებული დაწესებულების/სასწავლებლის მიერ გაცემული მოწმობა.

სასწავლო ბაზა

რეზიდენტურის პროგრამის განხორციელება მიმდინარეობს იმ სამედიცინო დაწესებულებებში, რომელთაც მიღებული აქვთ აკრედიტაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სწავლება

ა) რეზიდენტის სწავლების საკითხები უნდა ითვალისწინებდეს შესაბამისი კომპეტენციების დაუფლების სპეციფიკას:

- პაციენტისგან დაავადების ისტორიის შეკრებას
- ფიზიკური გამოკვლევის ჩატარებას
- შესაბამისი რადიოლოგიური და ლაბორატორიული კვლევების დანიშვნას
- საბოლოო ზუსტი დიაგნოზის ფორმულირების გაკეთებას
- დიფერენციალური დიაგნოზების ფორმულირების გაკეთებას
- პათოლოგიის არაოპერაციული მკურნალობის პროგნოზის განსაზღვრას
- პათოლოგიის ოპერაციული და არაოპერაციული მკურნალობის განსაზღვრას
- პათოლოგიის ოპერაციული და არაოპერაციული მკურნალობის შემდგომი რეაბილიტაციის სქემის ჩამოყალიბებას
- ჭრილობის პირველადი და მეორადი ქირურგიული დამუშავების დაუფლებას
- მოტეხილობის რეპოზიციის (დახურული წესით) დაუფლებას
- ჩონჩხოვან დაჭიმვის (ყველა სეგმენტი) დაუფლებას
- მოტეხილობების გარეგანი ფიქსაციის დაუფლებას
- თაბაშირის დადების დაუფლებას
- ორთეზების დადების დაუფლებას
- ფასციოტომიის დაუფლებას
- ყველა სეგმენტის ოსტეოსინთეზის დაუფლებას (ფირფიტებით DCP, LCP, Polyaxial ,Anatomical, DHS, ინტრამედულარი – მახლოკირებელი სისტემებით, ელასტიური ღეროებით, ოსტეოსინთეზი ვებერის ტიპის, სახსრების ჩაკეტვა, საკორექციო ოსტოტომია: ფიქსაციით , ძვლის გადანერგვით ან მის გარეშე, კომპრესიული-დისტრაქციული აპარატის დადება, ხერხემლის მალეების ტრანსპედიკულური ფიქსაცია, სახსარშიდა მოტეხილობების ოსტეოსინთეზი ართროსკოპიული კონტროლით)
- ხერხემლის მალეების ტრანსპედიკულურ ფიქსაციის დაუფლებას
- ხერხემლის მალეების ბალონირების დაუფლებას
- ხერხემლის მალეების პროთეზირების დაუფლებას
- მსხვილი და მცირე სახსრების ართროსკოპიის დაუფლებას
- სახსრების იოგოვანი აპარატის რეკონსტრუქციის დაუფლებას (ართროსკოპიული/დია)
- მყესების ღია რეკონსტრუქციის დაუფლებას (მაგ. ქილევის მყესი და სხვ)
- სახსარშიდა ინექციების დაუფლებას
- სახსრების ლავაჟის დაუფლებას
- დაზიანებული კუნთების რეკონსტრუქციის დაუფლებას
- კანის პლასტიკის (დერმატომით) დაუფლებას
- მსხვილი და მცირე სახსრების ართროპლასტიკის დაუფლებას (უცემენტო, ცემენტის გამოყენებით , ჰიბრიდული)
- სქოლიოზის კორექციის (უკანა/ წინა მიდგომით) დაუფლებას
- სახსარზე ხრტილის რეკონსტრუქციის (მოზაიკოპლასტიკა) დაუფლებას
- აუტოძვლის ადების ტექნიკის დაუფლებას
- ძვლების დეფექტების რეკონსტრუქციის დაუფლებას ძვლის ჩანაცვლებით (ჰომო, აუტო ძვალი)

- ნავიგაციის გამოყენებას ორთოპედიაში
- ყველა სეგმენტის სარევიზიო ენდოპროთეზირებას
- შეუხორცებელი მოტეხილობების მკურნალობას და მართვას
- ოსტეომიელიტის მკურნალობას
- პოსტოპერაციული ინფექციების მართვას
- ძვლისა და რბილის ქსოვილების პათოლოგიური კერის ბიოფსიას
- ძვლისა და რბილის ქსოვილების პათოლოგიური კერის ინტერკალარულ რეზექციას, ჩანაცვლებას პროთეზით
- ძვლისა და რბილის ქსოვილების პათოლოგიური კერის რეზექციას
- ონკოპროთეზირებას
- ძვლისა და რბილის ქსოვილების ავთვისებიანი სიმსივნეების რეზექციას ჯანსაღი ქსოვილების ფარგლებში
- კიდურების ამპუტაციებს ყველა დონეზე
- ამპუტირებული ტაკვის მომზადებას პროთეზიებისთვის
- გარეგანი პროთეზების შერჩევას და მართვას

ბ) ინტერდისციპლინური და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებას:

- ინტერდისციპლინური გუნდის მუშაობაში მონაწილეობას
- პაციენტის მართვისას გამოყენებულ საკონსულტაციო სერვისებთან კომუნიკაციას
- ოჯახთან შეხვედრების ხელმძღვანელობას პაციენტის მართვის გადაწყვეტილების, სიცოცხლის ბოლო ეტაპის გადაწყვეტილების, სერვისის გაგრძელების გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის გაზიარებისთვის
- ყოველდღიური კურსუსების, კლინიკური აღნიშვნების და გაწერის ეპიკრიზის წარმოებას

გ) მტკიცებით მედიცინაზე დაუზენაღებელი სწავლება და მის ბაზმჯობისებას

- დეპარტამენტის შემთხვევათა განხილვის კონფერენციებში მონაწილეობას
- ჩვენების მიხედვით კლინიკური მეთოდის გამოყენებას
- გამოქვეყნებული პრაქტიკული პარამეტრების მიმოხილვას
- პაციენტის მკურნალობს მტკიცებით მედიცინაზე დაფუძნებული გაიდლაინების და პროტოკოლების მიხედვით

დ) პროფესიონალიზმს

- კლინიკის ინტერდისციპლინური გუნდის მუშაობაში მონაწილეობას
- ეთიკური ნორმების დაცვას (მათ შორის პოსპიტალის შინაგანაწესის, პალიატიური მოვლის, თავის ტვინის სიკვდილის, რეანიმაციულ ღონისძიებების არდაქვემდებარებული შემთხვევების შესახებ)

6. შეფასება/გამოცდა

მოდულის მიმდინარეობის დროს, მოდულზე პასუხისმგებელი პირი, უფროსი რეზიდენტი და ზედამხედველი ექიმი აფასებენ რეზიდენტის პრაქტიკული მომზადების დონეს. თეორიული მასალა ფასდება კლინიკის თანამშრომელთა მიერ, კონფერენციების ბოლოს.

№	კრიტერიუმი	60-მდე	61-68	69-80	81-90	91-100
		არაღამ.	ღამაკმ.	კარგი	საუკეთესო	განსაკუთრ

1	პროფესიული ცოდნა ასახავს სამედიცინო ცოდნის ეფექტურ გამოყენებას პაციენტის მკურნალობის დროს და აფასებს კონსულტაციებით ან/და შესაბამისი ლიტერატურის დამუშავებით მიღებულ ცოდნას	0	00	00	000	000
2	ანამნეზის შეკრება ასახავს ანამნეზის სრულყოფილ შეკრებას და ინფორმაციის მიღებას (მათ შორის ფსიქიატრიულ პაციენტებში)	0	00	00	000	000
3	ფიზიკალური გასინჯვა და დოკუმენტაცია გულისხმობს სრულყოფილ ფიზიკალურ გამოკვლევას და ლოგიკური და შინაარსიანი დოკუმენტაციის წარმოდგენას მენტალური სტატუსის გათვალისწინებით	0	00	00	000	000
4	დიაგნოზი: დიფერენციალური დიაგნოზის ჩამოყალიბება კლინიკური და ლაბორატორიული მონაცემების სინთეზის საშუალებით.	0	00	00	000	000
5	მკურნალობის სქემა: დაიწეროს ადექვატური და სრულყოფილი მკურნალობის სქემა	0	00	00	000	000
6	უნარ-ჩვევები და პროცედურები: სწორად და კორექტულად ასრულებს მანიპულაციას	0	00	00	000	000
7	შემთხვევების პრევენციის უნარი კლინიკური შემთხვევის ლოგიკური და სრულყოფილი წარმონეჩად	0	00	00	000	000
8	მოტივაცია და პროფესიონალიზმი:	0	00	00	000	000
9	კომუნიკაბელობა და ურთიერთობები: პროფესიული და ყოფითი ურთიერთობის უნარი (თანამშრომლებთან, პაციენტებთან და პაციენტის პატრონებთან)	0	00	00	000	000
	პროფესიული მუშაობის საბოლოო შეფასება:					

ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE)

სფერო, რომელიც საჭიროებს დახვეწას: _____

კომენტარები _____

_____ თარიღი

სელმძღვანელი _____ სახელი, გვარი _____ ხელმოწერა

რეზიდენტი _____ სახელი, გვარი _____ ხელმოწერა

7. პროგრამის (კურიკულუმის) მართვა

რეზიდენტურის პროგრამის მართვა ხორციელდება მიღებული სარეზიდენტო პროგრამის შესაბამისად. ადმინისტრირებას ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი მოდულზე პასუხისმგებელი პირებთან და სამედიცინო დაწესებულების რეზიდენტურის სამსახურთან ერთად.

II. პროგრამის ზოგადი ნაწილი

პირველი წლის რეზიდენტის პროგრამა მოიცავს როტაციებს ორთოპედია-ტრავმატოლოგიასთან მომიჯნავე სხვადასხვა დარგებში, რათა რეზიდენტმა შეიძინოს გარკვეული ქირურგიული უნარ-ჩვევები, რაც უზრუნველყოფს მის მიერ პათოლოგიების სწორ დიფერენციალურ დიაგნოსტიკასა და მკურნალობის მართებულ მენეჯმენტს.

მოდული 1.1.

მოდულის დასახელება - პოსტტრავმული რენიმაცია/ინტენსიური თერაპია /ტკივილის მართვა სანგრძლივობა -1 თვე

- 1. მოდულის მიზანი -**
მოდულის მიზანია რეზიდენტს შეასწავლოს ტრავმის შედეგად მიღებული სხვადასხვა დაზიანებების მქონე ავადმყოფის მართვის თავისებურებები. აქცენტი უნდა გაკეთდეს იმ ურთულეს პრობლემებზე, რომელიც უნდა გადაწყდეს ქირურგიული და ინტენსიური ღონისძიებების კომპლექსური გამოყენებით საერთო მიზნის მისაღწევად.
- 2. მოდულის ამოცანები:** მომავალმა ზოგადმა ქირურგმა უნდა შეძლოს ტრავმული შოკის დროს ავადმყოფის მართვის პრინციპების გამოყენება და მათი პრაქტიკული განხორციელება. უნდა გადაწყვიტოს პრიორიტეტულობის საკითხები, მიიღოს გადაუდებელი კლინიკური გადაწყვეტილებები, რომლებიც დაემყარება მიღებულ თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას. ასევე რეზიდენტმა უნდა გამოიმუშაოს პრობლემების კომპლექსური გადაწყვეტის უნარები. განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს პოლიტრავმის მართვაზე, ჰემოდინამიკურ მხარდაჭერასა და მონიტორინგზე.

ლიტერატურის ნუსხა

Principles of Surgical Management

Quick C. Thomas P
 Hardcover. 656 pages. Published Dec 00
 Oxford University Press. ISBN 0192622307

Clinical Cases in Anesthesia
 Second Edition , Churchill Livingstone

Principles of Critical Care
 Third Edition , Jesse B. Hall, Gregory A. Schmidt

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	შეფასების მეთოდები
გადაუდებელი მედიცინა: კრიტიკული ქირურგიული დაავადებები და ინტენსიური თერაპია:	შეძლოს ტრავმული შოკის დროს ავადმყოფის მართვის პრინციპების გამოყენება და მათი პრაქტიკული განხორციელება. გადაუდებელი კლინიკური გადაწყვეტილებები, რომლებიც დაემყარება მიღებულ თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას. პოლიტრავმის მართვა, ჰემოდინამიკურ მხარდაჭერა და მონიტორინგი. ავადმყოფის მართვა მიმდინარეობს კრიტიკული (ინტენსიური) მედიცინის პალატებში, სადაც ავადმყოფის მართვის თავისებურებების გაცნობა და გარკვეული მანიპულაციების შესრულება რეზიდენტის მზადების აღნიშნული მოდულის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს.	რესუსციტაცია (რეანიმაციული ღონისძიებები) – 2 ოროტრაქეული ან/და ნაზოტრაქეული ინტუბაცია- 2 ცენტრალური ვენის კათეტერიზაცია- 10	მოდულის მიმდინარეობის დროს, ლოკალური ხელმძღვანელი, უფროსი რეზიდენტი და ზედამხედველი ექიმი ავასებენ რეზიდენტის პრაქტიკული მომზადების დონეს. თეორიული მასალა ფასდება კლინიკის თანამშრომელთა მიერ, კონფერენციების ბოლოს. შეფასება ფიქსირდება სარეგისტრაციო ჟურნალში. ინტენსიური თერაპიის პალატაში ჩატარებული საქმიანობის შესახებ, რეზიდენტი აკეთებს ჩანაწერებს სარეგისტრაციო ჟურნალში. მორიგეობა-2

მოდული 12.

მოდულის დასახელება - ნეიროტრანსმისიოლოგია

ხანგრძლივობა- 1 ომე

მოდულის მიზანი: რეზიდენტის/სპეციალისტის მაძიებლისათვის ნეიროტრანსმისიოლოგიის ძირითადი ასპექტების გაცნობა.

- ქალა-ტვინის დახურული და ღია ტრანსმისიოლოგიის კლასიფიკაციის, დიაგნოსტიკის და მკურნალობის მეთოდების გაცნობა.
- ზურგის ტვინის დახურული და ღია ტრანსმისიოლოგიის კლასიფიკაციის, დიაგნოსტიკის და მკურნალობის მეთოდების გაცნობა.
- პერიფერიული ნერვების ტრანსმისიოლოგიის დიაგნოსტიკის და მკურნალობის მეთოდების შესწავლა.
- მიელოგრადის – ჩვენების განსაზღვრა, შესრულება, ინტერპრეტაცია.

• დეკომპრესიული ტრეპანაციის - შესრულების ტექნიკის ათვისება.
 მოდულის დასრულების შემდეგ რეზიდენტმა/სპეციალისტმა მაძიებელს უნდა იცოდეს/შეეძლოს:

1. ქალა-ტვინის დახურული და ღია ტრავმა - კლინიკური დიაგნოზის გამოტანა, მკურნალობის ტაქტიკის არჩევა.
2. ექსცელვალოგრაფიის შესრულება, ინტერპრეტაცია.
3. ზურგის ტვინის ღია და დახურული ტრავმის - დიაგნოსტიკა, მკურნალობის ტაქტიკის არჩევა.
4. ლუმბალური პუნქციის ფუნქციური სინჯების, შესრულება.
5. ნერვული სისტემის არაინვაზიური და ინვაზიური გამოკვლევების ჩვენებებისა და წინააღმდეგჩვენებების განსაზღვრა, ინტერპრეტაცია - მკურნალობის ტაქტიკის არჩევა.

ლიტერატურის ნუსხა

Advances and Technical Standards in Neurosurgery

V. V. Dolenc, J. D. Pickard, Concezio Di Rocco, R. Fahlbusch

Critical Care Neurology and Neurosurgery: Neurotrauma and Neurointensive care

Jose I. Suarez

<http://www.studentbookworld.com/>

<http://meduniver.com/Medical/Book>

www.uptodate.com/

შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა:

<ol style="list-style-type: none"> 1. ქალა-ტვინის ტრავმის კლასიფიკაცია 2. კრანოცერებრალური ტოპოგრაფიის საფუძვლები. 3. ტრეპანაციის ძირითადი პრინციპები 4. ქალა-ტვინის ღია ტრავმის ქირურგიული მკურნალობის თავისებურებები 5. კრანიალური ენდოსკოპია 6. ლიქვორგამტარი გზების დრენირება 7. ხერხემლის სვეტის ტრავმა ზურგის ტვინის მთლიანობის დაზიანებით 8. ნერვული სისტემის არაინვაზიური და ინვაზიური გამოკვლევების ჩვენებები, წინააღმდეგჩვენებები, ტაქტიკა, ინტერპრეტაცია. 9. პერიფერიული ნერვების დაზიანება - დიაგნოსტიკა, მკურნალობა, რეაბილიტაცია. 	<ul style="list-style-type: none"> • პერიფერიული ნერვების დაზიანების კლინიკური გამოკვლევა.-7 • მიოგრაფია • ექსცელვალოგრაფია - 7 • ლუმბალური პუნქცია - ასისტენცია 4 • ჭრილობის დრენირება ქალა-ტვინის ტრავმის დროს- ასისტენცია 4 • თავის ქალას ტრეპანაცია ასისტენცია 3 • ნერვის ნაკერი ასისტენცია 5 	<p>მოდულის მსვლელობის დროს ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა დამოკიდებულია დეპარტამენტში გატარებული ავადმყოფების რაოდენობაზე. შესაბამისად, მითითებულია ჩასატარებელი მანიპულაციების ოპტიმალურად მინიმალური რაოდენობა.</p>	<p>მოდულის მიმდინარეობის დროს, მოდულზე პასუხისმგებელი პირი, უფროსი რეზიდენტი და ზედამხედველი ექიმში ავასებენ რეზიდენტის პრაქტიკული მომზადების დონეს. შეფასება ფიქსირდება რეზიდენტის დღიურში.</p> <p>სასურველია რეზიდენტმა მოდულის მსვლელობის დროს წარმოადგინოს რეფერატი ან მოხსენება - 1; მორიგეობათა რაოდენობა განისაზღვრება შრომის კოდექსის თანახმად. მინიმალური რაოდენობა - 4</p>
--	--	--	--

მოდული 13.

მოდულის დასახელება - ზოგადი ქირურგია (მწვავე/ტრავმა)

ხანგრძლივობა - 2 თვე

მოდულის მიზანი - საწყისი სტადიის მიზანია რეზიდენტს განუვითაროს ქირურგიული საბაზისო და ფუნდამენტური ჩვევები, რაც საერთოა ყველა ქირურგიული სპეციალობისთვის. მოდულის მიზანია, საორიენტაციო პროგრამის შემდგომ რეზიდენტს გააცნოს ზოგადი ქირურგიის ძირითადი კომპონენტები. რეზიდენტმა უნდა აითვისოს პრე-, ინტრა- და პოსტოპერაციული მართვის საკითხები. იგი უნდა გაეცნოს ასევე ქირურგიული ინფექციისა და კლინიკური მიკრობიოლოგიის თავისებურებებს, ქირურგიული და ნოზოკომიური ინფექციის პრევენციის გზებს. პრაქტიკულ ნაწილში რეზიდენტმა უნდა დაიწყოს მცირე ქირურგიული მანიპულაციების შესრულება. მათ შორის უნდა დაეუფლოს ჭრილობის პირველად ქირურგიულ დამუშავებას, დამუშავების სპეციფიკას მიდამოების მიხედვით. პოსტოპერაციული ინტენსიური თერაპიის პალატაში რეზიდენტი უნდა დაეუფლოს ქირურგიული ავადმყოფის შეფასების უნარებს, ყურადღება უნდა გამახვილდეს ჰემოდინამიკურ და ჰომეოსტაზურ მაჩვენებლებზე და მათი დარღვევის კორექციის გზებზე. რეზიდენტი, რამდენიმე თვის შემდეგ უნდა ასრულებდეს პოლიკლინიკური ქირურგიის ტიპურ მანიპულაციებს. მოდულის ბოლოს, რეზიდენტი ეუფლება გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ქირურგიულ კომპონენტებს, მათ შორის ტრაქეოტომიის, ტრაქეის ინტუბაციის ტექნიკას და თეორიულ საფუძვლებს.

ლიტერატურის ნუსხა:

1. გრიგოლია ნ. ქირურგიული სნეულებები. თბილისი.2000.
2. კუზინი მ. ქირურგიული სნეულებები. მოსკოვი. 2004. (თარგმანი).
3. ლ.კიკალიშვილი, ე.ყიფიანი, დ. კორძაია. ტოპოგრაფიული და კლინიკური ანატომია. თბილისი. 2005.
4. Schwartz; Shires; Spencer Principles of Surgery. Eighth Edition. 2004.
5. Bailey and Love's Short Practice of Surgery (A Hodder Arnold Publication). by Norman S Williams (Author), Christopher J.K. Bulstrode (Author), P Ronan O'Connell (Author) , 25th edition, 2006
6. Sarrel B.E., Carabasi R.A. Surgery. National Medical Series for Independent Study. 1995.
7. Silverberg S.C. Principles and Practice of Surgical Pathology.
8. Speciality Review in General Surgery. The National Center for Advanced Medical Education. 2001.
9. Way L.W. Surgical Diagnosis and Treatment. 1994.
10. Way L.W., Doherty G.M. Current Surgical Diagnosis and Treatment. 2004.
11. Kant X. Scientific Basic for the Selection of Surgical Needles and Sutures. 1999.
12. Кузин М.И. Хирургические болезни, Москва, 2003.

http://www.medtrng.com/tutorials_and_simulators_part_8.htm (clinical surgery, surgical videos).

www.surgical-tutur.org.uk

<http://www.surgicalcourses.org.uk/>

www.dundee.ac.uk/surgicalskills/index.htm

<http://www.update-software.com/publications/cochrane/>

<http://www.ncepod.org.uk/>

<http://www.intumed.com/>

შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები.

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	შეფასების მეთოდები
----------------	-------------------------	--------------------------------------	--------------------

ზოგადი ქირურგიული ჩვენებები: უსაფრთხო ქირურგიის პრინციპები

- ქირურგის მომზადება ოპერაციისთვის
- ხელის დაბანის, დამუშავებისა და ხელთათმნის ჩაცმის პრინციპები
- ქირურგებისა და ავადმყოფებისათვის იმუნიზაციის პროტოკოლები

ადგილობრივი ანესთეზიის დანიშვნა

- საანესთეზიო პრეპარატის შერჩევა

ქირურგიული ჭრილობები

- ქირურგიული ჭრილობების კლასიფიკაცია
- ჭრილობის მართვის პრინციპები
- ჭრილობის შეხორცების პათოფიზიოლოგია
- ნაწიბურები და კონტრაქტურები
- კანისა და კანქვეშა ქსოვილის გაკვეთა:
 - ლანგერის ხაზები
 - ინსტრუმენტის არჩევა
 - უსაფრთხო პრაქტიკა
- კანისა და კანქვეშა ქსოვილის დახურვა
 - ჭრილობის ყრუდ გაკერვის ჩვენებები
 - საკერავი ძაფისა და ნემსის არჩევა
- კვანძის დადება
 - ნაკერისა და ლიგატურის დასადები მასალა და მათი შერჩევა
 - ქირურგიული ნაკერებისა და ლიგატურებისთვის კვანძების უსაფრთხო გამოყენება
- ჰემოსტაზი
 - ქირურგიული ტექნიკა
 - დიათერმიის პრინციპები
 - ინსტრუმენტების შერჩევა
- ბიოფსიის ტექნიკა ასპირაციული

ქირურგის მომზადება ოპერაციისთვის

- ეფექტური და საიმედო ხელის დაბანვა, ხელთათმნის ჩაცმა და სტერილური ხალათის ჩაცმა
- ადგილობრივი ანესთეზიის ტექნიკა, საანესთეზიო აგენტის სწორი და უსაფრთხო გამოყენება
- კანისა და კანქვეშა ქსოვილის გაკვეთა - 4
- კანისა და კანქვეშა ქსოვილის დახურვა - 4
- ჭრილობის კიდეების ზუსტი და დაუჭიმავი შეპირისპირება - 4
- კვანძის დადება - 4
- ჭრილობის ჰემოსტაზი - 4
- ქსოვილის რეტრაქცია: ქირურგიული პინცეტით, ჭრილობის რეტრაქტორის მოთავსება - 3
- დრენაჟის გამოყენება: ჩადგმა, ფიქსაცია, ამოღება - 3
- ქსოვილის დამუშავება: ინსტრუმენტების სათანადო გამოყენება და ქსოვილებთან ფაქიზი მოპყრობა - 4
- ასისტენტობის ჩვენებები: ოპერატორის საჭიროებების ამოცნობა ასისტენტის დროს - 4

მოდულის მსვლელობის დროს ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა დამოკიდებულია დეპარტამენტში გატარებული ავადმყოფების რაოდენობაზე. მითითებულია ჩასატარებელი მანიპულაციების ოპტიმალურად მინიმალური რაოდენობა.

მოდულის მიმდინარეობის დროს, მოდულზე პასუხისმგებელი პირი, უფროსი რეზიდენტი და ზედამხედველი ექიმი აფასებენ რეზიდენტის პრაქტიკული მომზადების დონეს. თეორიული მასალა ფასდება კლინიკის თანამშრომელთა მიერ, კონფერენციების ბოლოს. შეფასება ფიქსირდება რეზიდენტის დღიურში. სასურველია რეზიდენტმა მოდულის მსვლელობის დროს წარმოადგინოს რეფერატი ან მოხსენება - 1; მორიგეობების რაოდენობა განისაზღვრება შრომის კოდექსის მიხედვით. მინიმალური მორიგეობის რაოდენობა - 8.

<p>ციტოლოგიური მასალის აღების ჩათვლით</p> <ul style="list-style-type: none"> • დრენაჟის გამოყენება <ul style="list-style-type: none"> ◦ ჩვენება ◦ ტიპები ◦ მენეჯმენტი/ამოღება • ანასტომოზის ფორმირების პრინციპები • ქირურგიული ენდოსკოპიის პრინციპები 		
<p>წინასაოპერაციო მართვა: ინტრაოპერაციული მართვა: პოსტოპერაციული მართვა: წინასაოპერაციო შეფასება და მენეჯმენტი:</p> <ul style="list-style-type: none"> • კარდიორესპირატორული ფიზიოლოგია • შაქრიანი დიაბეტი და სხვა ენდოკრინული დარღვევების წინასაოპერაციო კორექცია • სითხის ბალანსი და ჰომეოსტაზი • თირკმლის უკმარისობა • სეფსისის პათოფიზიოლოგია – პრევენცია და პროფილაქტიკა • თრომბოპროფილაქტიკა • ლაბორატორიული ანალიზები და ინსტრუმენტული კვლევები • ოპერაციის რისკფაქტორები და ქულობრივი სისტემები • პრემედიკაცია და სხვა პრეოპერაციული დანიშნულება • ოპერაციის დღის პრინციპები <p>ინტრაოპერაციული მზრუნველობა:</p> <ul style="list-style-type: none"> • უსაფრთხოება საოპერაციოში, რაშიც შედის ასევე ავადმყოფის სწორი პოზიცია საოპერაციო მაგიდაზე და ნერვის დაზიანების თავიდან აცილება • უსაფრთხოება ბასრი ინსტრუმენტების მიმართ • დიათერმია, ლაზერის გამოყენება • ინფექციის რისკები • რადიაციის გამოყენება და რისკები 	<ul style="list-style-type: none"> • პრეოპერაციული შეფასება და მენეჯმენტი: ავადმყოფის გასინჯვა და ისტორიის შევსება, წინასაოპერაციო კვლევების შედეგების ინტერპრეტაცია, შესაბამისი პრეოპერაციული დანიშნულება პრემედიკაციის ჩათვლით – 3 • ინტრაოპერაციული მზრუნველობა: ინტრაოპერაციული მზრუნველობის უსაფრთხო წარმოება, ავადმყოფის სწორი პოზიცია, ნერვის დაზიანების პრევენცია, ბასრი ინსტრუმენტებით - დაზიანების პრევენცია, დიათერმული დაზიანების პრევენცია, ვენური თრომბოზის პრევენცია – 3 • პოსტოპერაციული მზრუნველობა: ოპერაციის ჩანაწერების გაკეთება, ავადმყოფის მდგომარეობის შეფასება და მონიტორინგი, ორგანოთა მოსალოდნელი უკმარისობის გამოვლენა. პოსტოპერაციული გართულებების ამოცნობა, პრევენცია და მკურნალობა -3 • ჰემოსტაზი და სისხლის პროდუქტები: იმ მდგომარეობათა ამოცნობა, რამაც შესაძლოა მიგვიყვანოს ჰემორაგიულ 	

- ლახტის გამოყენება მისი ჩვენების, ეფექტების და გართულებების ჩათვლით
- ადგილობრივი, რეგიონალური და ზოგადი ანესთეზიის პრინციპები
- ინვაზიური და არაინვაზიური მონიტორინგის პრინციპები
- ვენური თრომბოზის პრევენცია
- ოპერაცია ჰეპატიტის და შიდსის ვირუსის მატარებლებში
- სითხის ბალანსი და ჰომეოსტაზი

პოსტოპერაციული მზრუნველობა

- პოსტოპერაციული მონიტორინგი
- კარდიორესპირატორული ფიზიოლოგია
- სითხის ბალანსი და ჰომეოსტაზი
- შაქრიანი დიაბეტი და სხვა ენდოკრინული დარღვევები
- თირკმლის უკმარისობა
- სისხლის დანაკარგის პათოფიზიოლოგია
- სეფსისის პათოფიზიოლოგია SIRS-ის და შოკის ჩათვლით
- მულტიორგანული დისფუნქციის სინდრომი
- ზოგადად პოსტოპერაციული გართულებები
- პოსტოპერაციული ანალგეზიის მეთოდები

კვების მენეჯმენტის შეფასება და დაგეგმვა

- პოსტოპერაციული კვება
- მალნუტრიციის ეფექტები – როგორც ჭარბი კვება, ისე გამოფიტვა
- დაზიანებაზე მეტაბოლური პასუხი
- კვების სტატუსის სკრინინგისა და შეფასების მეთოდები
- ენტერალური და პარენტერალური კვების მეთოდები

ჰემოსტაზი და სისხლის კომპონენტები

დიათეზამდე, ოპერაციის დროს კოაგულოპათიური სისხლდენის ამოცნობა - 3

- კოაგულაცია, ღრმა ვენების თრომბოზი და ემბოლიზმი: რისკის ქვეშ მყოფი ავადმყოფების ამოცნობა, პულმონარული ემბოლიზმისა და ღრმა ვენების თრომბოზის ამოცნობა და დიაგნოზი, დუპლექს-სკანირების, ვენოგრაფიის და D-დიმერის მანევრების როლი - 3
- ანტიბიოტიკების სათანადო დანიშნულება - 3
- ხელოვნური კვების უზრუნველყოფისათვის მიდგომის ორგანიზება; უპირატესად საკვები დანამატები, ენტერალური კვება და პარენტერალური კვება - 2

<ul style="list-style-type: none"> • ჰემოსტაზის მექანიზმი, მათ შორის შედეგების კასკადი • დარღვეული ჰემოსტაზის პათოლოგია. მაგ.: ჰემოფილია, ღვიძლის დაავადებები, მასიური ჰემორაგია • სისხლის კომპონენტები • სისხლის პროდუქტების გამოყენების ალტერნატივე • სისხლის პროდუქტების დანიშვნის პრინციპები • სისხლის პროდუქტების გამოყენებასთან დაკავშირებული ავადმყოფის უსაფრთხოება <p>კოაგულაცია, ღრმა ვენების თრომბოზი და ემბოლიზმი:</p> <ul style="list-style-type: none"> • შედეგების მექანიზმი (ვირხოვის ტრიადა) • ოპერაციის და ტრავმის შემოქმედება კოაგულაციის პროცესზე • ტესტები თრომბოფილიაზე და კოაგულაციის სხვა დარღვევებზე • კვლევის მეთოდები თრომბოემბოლიურ დაავადებაზე ეჭვის დროს • ვენური თრომბოზისა და ფილტვის ემბოლიზმის მკურნალობის პრინციპები, ანტიკოაგულაციის ჩათვლით • ვენტილაცია/პერფუზიის სკანირების, კტ-პულმონარული ანგიოგრაფიის, D-დიმერის და თრომბოლიზის როლი • პულმონარული ემბოლექტომიის ადგილი • თრომბოემბოლიზმის პროფილაქტიკა • ღრმა ვენების თრომბოზის რისკის კლასიფიკაცია და მენეჯმენტი • ღრმა ვენების თრომბოზის პრევენციის მექანიკური და ფარმაკოლოგიური მეთოდების ცოდნა 		
--	--	--

<p>ანტიბიოტიკები</p> <ul style="list-style-type: none"> • ქირურგიულ ავადმყოფებში ძირითადი პათოგენები • ანტიბიოტიკებისადმი მგრძობელობა • ანტიბიოტიკების გვერდითი მოვლენები • პროფილაქტიკისა და მკურნალობის პრინციპები <p>პერიოპრაციულ მენჯემენტთან დაკავშირებული მეტაბოლური და ენდოკრინული დარღვევები</p> <ul style="list-style-type: none"> • თირეოიდული ჰორმონის სიჭარბისა და დეფიციტის პათოფიზიოლოგია და მასთან ასოცირებული ოპერაციული რისკები • ჰიპერ- და ჰიპოკალცემიის მიზეზები და შედეგები • კორტიკოსტეროიდული თერაპიის გართულებები • სტეროიდული უკმარისობის მიზეზები და შედეგები • შაქრიანი დიაბეტის გართულებები • ჰიპონატრემიის მიზეზები და შედეგები • ჰიპერკალემიისა და ჰიპოკალემიის მიზეზები და შედეგები 		
<p>ქირურგიული ტექნიკა და ტექნოლოგია:</p>	<p>ჩამოთვლილ ოპერაციებზე ასისტენციას - 16</p> <p>ჭრილობის პირველადი ქირურგიული დამუშავება ბარძაყის ამპუტაცია, ფალანგების ამპუტაცია, ფალანგების ამოსასხვრა, წინამხრის ამპუტაცია, ტერფის ამპუტაცია შარპის მიხედვით, ტერფშორისი ამოსასხვრა ლისფრანკის წესით, წვივის ძვალ-პლასტიკური ამპუტაცია, ბარძაყის ძვალ-პლასტიკური ამპუტაცია, სუპრაკონდილური ამპუტაცია სისხლძარღვთა ლიგაცია, ნევრორაფია, ტენდორაფია, ლაპაროტომია, ლაპაროტომიული</p>	

	<p>ჭრილობის დახურვა, დვიძლის ბიოფსია ლაპაროსკოპული ტექნიკის ათვისება ტრაქეოტომია, ტრაქეის ინტუბაცია</p>		
<p>ძირითადი ქირურგიული დაავადებები არსებული სიმპტომები და სინდრომები</p> <ul style="list-style-type: none"> • აბდომინური ტკივილი • აბდომინური შებერილობა • ნაწლავთა პერისტალტიკის ცვლილებები • გასტროინტესტინური სისხლდენა • რექტალური სისხლდენა • დისფაგია • დისპეფსია • სიყვითლე <p>მოიცავს შემდეგ დაავადებებს</p> <ul style="list-style-type: none"> • აპენდიციტი • გასტროინტესტინური ავთვისებიანი სიმსივნე • ნაწლავის ანთებითი დაავადება • დივერტიკულური დაავადება • ნაწლავის ობსტრუქციული გაუვალობა • შესორცებები მუცლის ღრუში • მუცლის თიაქრები • პერიტონიტი • ნაწლავის პერფორაცია • საყლაპავის კეთილთვისებიანი დაავადება • პეპტიური წყლულოვანი დაავადება • დვიძლის, ნადვლის ბუშტის და პანკრეასის კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი დაავადებები • ჰემოროიდული და პერიანალური დაავადებები მუცლის კედლის სტომა <p>სარძევე ჯირკვლის დაავადება</p> <ul style="list-style-type: none"> • ძუძუს სიმსივნეები და ღვრილის გამონადენი • ძუძუს მწვავე ტკივილი <p>მოიცავს შემდეგ დაავადებებს</p> <ul style="list-style-type: none"> • ძუძუს კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი სიმსივნეები • მასტიტი და ძუძუს აბსცესი 			

<p>პერიფერიულ სისხლძარღვთა დაავადებები წარმოდგენილი სიმპრომები და სინდრომები</p> <ul style="list-style-type: none"> • კიდურის ქრონიკული და მწვავე იშემია • ანევრიზმული დაავადება • ტრანზიტორული იშემია • ვენების ვარიკოზული დაავადება <p>ქვემო კიდურის დაწვლულება</p> <p>მოიცავს შემდეგ დაავადებებს</p> <ul style="list-style-type: none"> • არტერიების ათეროსკლეროზული დაავადება • არტერიების ემბოლიური და თრმბოზული დაავადებები • ვენური უკმარისობა • დიაბეტური დაწვლულება <p>ენდოკრინული დაავადებები სიმპტომები და სინდრომები</p> <ul style="list-style-type: none"> • კისრის სიმსივნეები • მწვავე ენდოკრინული კრიზი <p>მოიცავს შემდეგ დაავადებებს</p> <ul style="list-style-type: none"> • თირიოიდული და პარათირეოიდული დაავადებები • თირკმელზედა ჯირკვლის დაავადებები • შაქრიანი დიაბეტი 			
<p>პოლიტრავმა</p> <p>ზოგადი</p> <ul style="list-style-type: none"> • დაზიანებული ავადმყოფების შეფასების ქულობრივი სისტემა • დიდი უბედური შემთხვევის ტრიაუი • განსხვავებები ბავშვებში <p>შოკი</p> <ul style="list-style-type: none"> • შოკის პათოგენეზი • შოკი და კარდიოვასკულარული ფიზიოლოგია • დაზიანებაზე მეტაბოლური პასუხი • მოზრდილთა რესპირატორული დისტრესსინდრომი • არაჯვარედინი შეთავსების სისხლის გამოყენების ჩვენება <p>ჭრილობებისა და რბილი ქსოვილების დაზიანებები</p> <ul style="list-style-type: none"> • ცეცხლსასროლი იარაღითა 	<p>ზოგადი</p> <p>4 ანამნეზი და გასინჯვა</p> <p>3 კვლევა</p> <p>3 შესაბამის ქირურგიულ სუბსპეციალობისკენ გადამისამართება</p> <p>4 იმ ავადმყოფთა რეანიმაცია და ადრეული მენეჯმენტი, რომლებმაც მიიღეს გულმკერდის, თავის, ხერხემლის, მუცლის ან კიდურების დაზიანებები</p> <p>ATLS, APLS გაიდლაინების მიხედვით</p> <p>4 მრავლობითი დაზიანების მქონე ავადმყოფთა რეანიმაცია და ადრეული მენეჯმენტი</p> <p>3 სპეციფიური პრობლემები</p> <ul style="list-style-type: none"> • უგონო მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფის მენეჯმენტი • კანის დანაკარგის (დეფიციტის) 		

<ul style="list-style-type: none"> და ჭურვით დაზიანებები • დანით მიყენებული ჭრილობები • ადამიანისა და ცხოველის ნაკბენი • რბილი ქსოვილების დაზიანების ბუნება და მექანიზმი • რბილი ქსოვილების დაზიანების მენეჯმენტის პრინციპები • ტრავმული ჭრილობების მენეჯმენტის პრინციპები • კომპარტმენტ სინდრომი <p>დამწვრობა</p> <ul style="list-style-type: none"> • დამწვრობის კლასიფიკაცია • დამწვრობის მენეჯმენტის პრინციპები <p>მოტეხილობები</p> <ul style="list-style-type: none"> • მოტეხილობების კლასიფიკაცია • მოტეხილობების პათოფიზიოლოგია • მოტეხილობების მენეჯმენტის პრინციპები • მოტეხილობების გართულებები • სახსრების დაზიანებები <p>ორგანოსპეციფიური ტრავმა</p> <ul style="list-style-type: none"> • თორაკალური ტრავმის პათოფიზიოლოგია • პნევმოთორაქსი • თავის დაზიანებები, რაშიც შედის ინტრაკრანიალური ტრავმული ჰემორაგია და თავის ტვინის დაზიანება • ხერხემლის სვეტის დაზიანება • პერიფერიული ნერვების დაზიანება • მუცლის ბლაგვი და შემავალი ტრავმა • ელენთის დაზიანებით • სისხლძარღვთა დაზიანება, მათ შორის იატროგენული დაზიანებები და ინტრავასკულარული ნარკოტიკული მოხმარება • კრაშ დაზიანება <p>კანის დეფიციტის მენეჯმენტის პრინციპები, მათ შორის კანის ტრანსპლანტატები და კანის ნაფლეთები</p>	<p>საწყისი მენეჯმენტი</p> <ul style="list-style-type: none"> • დამწვრობის საწყისი მენეჯმენტი <p>2 ცენტრალური ვენის კათეტერის ჩადგმა</p> <p>3 გულმკერდის დრენაჟის ჩადგმა</p> <p>2 დიაგნოსტიკური პერიტონეალური ლავაჟი</p> <p>4 ურეთრალური კათეტერიზაცია</p> <p>2 სუპრაპუბიკური კათეტერიზაცია (ეპიცისტოსტომია)</p>		
<p>ქირურგიული ინფექცია და მისი პრევენცია:</p>			

მოდული 14.

მოდულის დასახელება - ანგიოქირურგია

ხანგრძლივობა - 1 თვე

მოდულის მიზანი: რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლისათვის პერიფერიული სისხლის მიმოქცევის თავისებურებების გაცნობა. სისხლის მიმოქცევის სრულფასოვნების განსაზღვრის მეთოდის ათვისება. დოპლეროგრაფიისა და ანგიოგრაფიის მონაცემების ინტერპრეტაცია. არტერიის რეკონსტრუქციის ჩვენების განსაზღვრისა და ოპერაციული ტექნიკის გაცნობა-დაუფლება.

- პერიფერიული სისხლის მიმოქცევის ანატომიის და ფიზიოლოგიის, მიკროცირკულაციის ფიზიოლოგიის და მასზე მოქმედი ფაქტორების გაცნობა
- მწვავე და ქრონიკული პერიფერიული არტერიული უკმარისობის დიაგნოსტიკის მეთოდის შესწავლა
- მწვავე და ქრონიკული პერიფერიული ვენური უკმარისობა, ღრმა ვენების თრომბოზის დიაგნოსტიკის კრიტერიუმების გაცნობა.
- ტროფიკული წყლულის დიაგნოსტიკის და მკურნალობის მეთოდების შესწავლა
- ავადმყოფის პრეოპერაციული და პოსტოპერაციული მკურნალობის ძირითადი კონცეფციების გაცნობა.
- ტრავმულ ავადმყოფებში ანგიოგრაფიის წარმოების ჩვენებების და უკუჩვენებების დიფერენცირება.

მოდულის დასრულების შემდეგ რეზიდენტმა/სპეციალობის მაძიებელს უნდა იცოდეს/შეეძლოს:

1. მწვავე და ქრონიკული პერიფერიული არტერიული უკმარისობის დიაგნოსტიკა.
2. მწვავე და ქრონიკული პერიფერიული ვენური უკმარისობის დიაგნოსტიკა და მკურნალობა.
3. ღრმა ვენების თრომბოზის, პროფილაქტიკა, მკურნალობა.
4. ტროფიკული წყლულის მკურნალობა.
5. ანგიოგრაფიის, დოპლეროგრაფიის წარმოება შედეგების ინტერპრეტაცია.
6. ტრავმულ ავადმყოფებში ანგიოგრაფიის წარმოების ჩვენებებისა და უკუჩვენებების განსაზღვრა.
7. არტერიული რეკონსტრუქციის ჩვენებების განსაზღვრა და წარმოება.

ლიტერატურის ნუსხა

Rutherford's Vascular Surgery, 2-Volume Set, Expert Consult: Online and Print, 7th Edition
By Jack L. Cronenwett, MD and Wayne Johnston

Principles and Practice of Surgery
Garden O J. Bradbury A W. Forsythe J L R
Paperback. 656 pages. Published Mar 02
Churchill Livingstone. ISBN 0443064938

- <http://www.studentbookworld.com/>
- <http://meduniver.com/Medical/Book>
- http://6years.net/index.php?do=static&page=Ortopedija_Travmatologija
- <http://aotrauma.org/home.aspx>
- www.uptodate.com/

შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა:

<i>თეორიული კურსი</i>	<i>პროფესიული უნარ-ჩვევები</i>	<i>შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა</i>	<i>შეფასების მეთოდები</i>
1. პერიფერიული სისხლის მიმოქცევის ანატომია და ფიზიოლოგია, მიკროცირკულაციის ფიზიოლოგია და მასზე მოქმედი ფაქტორები 2. მწვავე და ქრონიკული პერიფერიული	<ul style="list-style-type: none"> • ანგიოგრაფია 5 • ანგიოგრაფიისა და დოპლეროგრაფიის შედეგების ინტერპრეტაცია, დიაგნოზის გამოტანა 10 • სისხლძარღვოვანი 	მოდულის მსვლელობის დროს ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა დამოკიდებულია	მოდულის მიმდინარეობის დროს, მოდულზე პასუხისმგებელი პირი, უფროსი რეზიდენტი და ზედამხედველი ექიმი აფასებენ რეზიდენტის

<p>არტერიული უკმარისობა</p> <p>3. მწვავე და ქრონიკული პერი-ფერიული ვენური უკმარისობა, ღრმა ვენების თრომბოზი</p> <p>4. ტროფიკული წყლული</p> <p>5. ანგიოგრაფია, დოპლეროგრაფია</p> <p>6. არტერიული რეკონსტრუქციის ჩვენებები</p> <p>7. ავადმყოფის პრეოპერაციული და პოსტოპერაციული მკურნალობა ანგიოქირურგიაში.</p> <p>8. ტრავმულ ავადმყოფებში ანგიოგრაფიის წარმოების ჩვენებები და უკუჩვენებები</p>	<p>ნაკერის დაღება ასისტენცია-4</p> <ul style="list-style-type: none"> • თრომბექტომია ასისტენცია-4 • ტროფიკული წყლულის შეხვევა, კურაცია.- 4 	<p>დეპარტამენტში გატარებული ავადმყოფების რაოდენობაზე მითითებულია ჩასატარებელი მანიპულაციების ოპტიმალურად მინიმალური რაოდენობა.</p>	<p>პრაქტიკული მომზადების დონეს. თეორიული მასალა ფასდება კლინიკის თანამშრომელთა მიერ, კონფერენციების ბოლოს. შეფასება ფიქსირდება რეზიდენტის დღიურში. სასურველია რეზიდენტმა მოდულის მსვლელობის დროს წარმოადგინოს რეფერატი ან მოხსენება – 1; მორიგეობათა განისზღვრება შრომის კოდექსის თანახმად. მინიმალური მორიგეობის რაოდენობაა 4.</p>
---	--	--	---

მოდული 15.

მოდულის დასახელება - დამწვრობა, კანის პლასტიკა

ხანგრძლივობა - 1 თვე

მოდულის მიზანი: რეზიდენტის/სპეციალისტის მაძიებლისათვის თერმული და ქიმიური დამწვრობითი დაავადების, ელექტროტრავმის მკურნალობის გაცნობა. მკურნალობის ეტაპების დაუფლება, დამწვრობითი ტოქსემიის ფიზიოლოგიის გაცნობა პროფილაქტიკისა და მკურნალობის წარმოება.

- დამწვრობის ხარისხის განსაზღვრა.
- დამწვრობითი შოკის ხარისხის შეფასება. ანტიშოკური თერაპიის სპეციფიური ასპექტების გაცნობა.
- კონსერვატული და ოპერაციული მკურნალობის პრინციპების შესწავლა დამწვრობის შემდგომი კანის დიდი ზომის დეფექტების დროს.
- დამწვრობითი ჭრილობის მკურნალობა.
- კანის პლასტიკის მეთოდების ცოდნა, შესრულების ტექნიკის დაუფლება.

მოდულის დასრულების შემდეგ რეზიდენტმა/სპეციალისტმა მაძიებელმა უნდა იცოდეს/შეეძლოს:

1. დამწვრობის ხარისხის განსაზღვრა.
2. დამწვრობითი შოკის ხარისხის შეფასება. ანტიშოკური თერაპიის სპეციფიური ასპექტების გაცნობა.
3. კანის განაკვეთები, კანის გაკერვის მეთოდები.
4. კონსერვატული და ოპერაციული მკურნალობის წარმოება დამწვრობის შემდგომი კანის დიდი ზომის დეფექტების დროს, ნეკრექტომია, ჭრილობის მოვლა, შეხვევა და მომზადება პლასტიკისათვის.
5. კანის პლასტიკა – მეორადი, თავისუფალი, კუნძულოვანი და სხვა.
- 6.

ლიტერატურის ნუსხა

Wheless' Textbook of Orthopaedics

Burns and Burn Treatment Textbook: Medical-Surgical Nursing-7th edition

Handbook of Burns Volume 1 :Acute Burn Care Jeschke, M.G.; Kamolz, L.-P.; Sjöberg, F.; Wolf, S.E. (Eds.)

<http://www.studentbookworld.com/>

<http://meduniver.com/Medical/Book>
http://6years.net/index.php?do=static&page=Ortopedija_Travmatologija
<http://aotrauma.org/home.aspx>
www.uptodate.com/

შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა:

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	შეფასების მეთოდები
